

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

Contents:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
3. ფული და ფულის ექვივალენტები.....	15
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
5. მარაგები.....	15
6. ინვესტიციები	15
7. ძირითადი საშუალებები	16
8. არამატერიალური აქტივები	17
9. მოგების გადასახადის ხარჯი	17
10. სხვა გრძელვადიანი აქტივები	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12. სხვა მიმდინარე ვალდებულებები	18
13. შემოსავალი	18
14. გაყიდვების თვითღირებულება	19
15. კომერციული და მარკეტინგის ხარჯები.....	19
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
17. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები).....	19
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები.....	20

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	4,255,448	3,481,689
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	3,854,561	2,723,892
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	683,990	643,364
სულ მიმდინარე აქტივები		8,793,999	6,848,945
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	6	45,250	45,250
ძირითადი საშუალებები	7	525,287	432,114
არამატერიალური აქტივები	8	71,268	61,264
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	48,400	75,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		690,205	613,628
სულ აქტივები		9,484,204	7,462,573
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	3,037,837	2,379,575
ბანკის სესხები		83,156	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	2,518,455	1,995,667
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,639,449	4,375,242
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	529,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	529,000
სულ ვალდებულებები		5,639,449	4,904,242
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		32,000	32,000
რეზერვები		535,362	535,362
გაუნაწილებელი მოგება		3,277,393	1,990,969
სულ საკუთარი კაპიტალი		3,844,755	2,558,331
არამაკონტროლებელი წილი		-	-
სულ კაპიტალი		3,844,755	2,558,331
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,484,204	7,462,573

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით

მმართველი პარტნიორი _____

ფინანსური მენეჯერი _____

2019 წლის 1 მაისი

ზურაბ ლალაზაშვილი

შორენა ბუაძე

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	Note	2018	2017
შემოსავალი		15,912,868	12,337,986
გაყიდვების თვითღირებულება	14	(8,656,175)	(6,609,180)
საერთო მოგება		7,256,693	5,728,806
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		6,844	(7,878)
კომერციული და მარკეტინგის ხარჯები	15	(731,488)	(548,907)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,982,075)	(2,299,400)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი		68,301	(55,653)
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	17	229,418	88,828
მოგება დაბეგვრამდე		3,847,693	2,905,796
მოგების გადასახადის ხარჯი		(241,273)	(43,805)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		3,606,420	2,861,991

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით

მმართველი პარტნიორი _____

ფინანსური მენეჯერი _____

2019 წლის 1 მაისი

ზურაბ ლალაზაშვილი

შორენა ბუაძე

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	არამაკონტროლებე ლი წილი	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	35,000	2,042,078	482,529	98,436	2,658,043
პერიოდის სრული მოგება / (ზარალი)	-	2,861,991	-	-	2,861,991
კაპიტალიდან წილის გატანა	(7,000)	(986,800)	(143,200)	(800)	(1,137,800)
პარტნიორთა შენატანი		-	98,400	-	98,400
კაპიტალის ზრდა	4,000	-	97,636	(97,636)	4,000
დივიდენდი	-	(1,926,302)	-	-	(1,926,302)
2017 წლის 31 დეკემბერი	32,000	1,990,967	535,365	-	2,558,332
პერიოდის სრული მოგება / (ზარალი)	-	3,606,419	-	-	3,606,419
დივიდენდი	-	(2,320,000)	-	-	(2,320,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	32,000	3,277,386	535,365	-	3,844,751

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით

მმართველი პარტნიორი _____

ფინანსური მენეჯერი _____

2019 წლის 1 მაისი

ზურაბ ლალაზაშვილი

შორენა ბუაძე

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	3,847,693	2,881,060
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(129,415)	(96,775)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (შემოსავალი) / ხარჯი	1,164	-
საექვო ვალეების ხარჯი / (შემოსავალი)	(70,304)	78,696
ცვეთა და ამორტიზაცია	307,568	293,293
წმინდა (შემოსავალი) / ზარალი საკურსო სხვაობიდან	(100,002)	7,947
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,856,704	3,164,221
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების შემცირება / (ზრდა)	(6,265)	6,040
პროგრამული პროდუქტების შემცირება / (ზრდა)	(34,361)	(255,674)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)	(724,873)	(664,212)
საგადასახადო აქტივების შემცირება / (ზრდა)	(811)	(45,108)
სხვა მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)	(293,255)	(79,354)
გრძელვადიანი ვალდებულებების (შემცირება) / ზრდა	(529,000)	229,000
კრედიტორული დავალიანების (შემცირება) / ზრდა	373,702	995,623
მიღებული ავანსების (შემცირება) / ზრდა	365,018	159,915
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება) / ზრდა	136,536	(38,376)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,143,395	3,472,075
გადახდილი მოგების გადასახადი	(246,888)	(89,294)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,896,507	3,382,781
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
პარტნიორის შენატანი	26,600	49,833
მიღებული პროცენტები	129,415	96,775
ძირითადი საშუალებების შეძენა	(353,087)	(295,788)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	636	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(59,457)	(89,884)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(255,893)	(239,064)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(1,928,134)	(1,724,572)
გადახდილი სესხები	(83,156)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,844,978)	(1,724,752)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	795,636	1,418,965
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,481,689	2,070,672
საკურსო სხვაობის ეფექტი	(21,877)	(7,948)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,255,448	3,481,689

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით

მმართველი პარტნიორი _____

ზურაბ ლალაზაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____

შორენა ბუაძე

2019 წლის 1 მაისი

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიდიო (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოში 1999 წელს, ხოლო ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 2016 წელს. კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 34, ხოლო ფაქტიური მისამართი - თბილისი, თარხნიშვილის #2, ვერე ბიზნეს ცენტრი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა აუდიტი და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

მესაკუთრეები	31.12.2018	31.12.2017
ზურაბ ლალაზაშვილი	36,00%	36,00%
ლევან მკლავიშვილი	36,00%	36,00%
ივანე ჟუჟუნაშვილი	9,00%	9,00%
მიხეილ ენუქიძე	9,00%	9,00%
ქეთევან ზარიძე	5,00%	5,00%
დავით გელაშვილი	2,50%	2,50%
ვლადიმერ ხრიკაძე	2,50%	2,50%

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოიცავს მშობელი საწარმოსა და სრულ საკუთრებაში მყოფი ოთხი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელიც წარდგენილია როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	31.12.2018	31.12.2017	საქმიანობის სფერო	რეგისტრაციის თარიღი	შემქნის თარიღი
შპს ბიდიო ლეგალ	100,00%	100,00%	იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება	08.04.2008	28.09.2017
შპს ბიდიო სოლუმენს	100,00%	100,00%	საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება	23.06.2004	29.01.2016
შპს ბიდიო აკადემია	100,00%	100,00%	ტრენინგები	12.07.2007	-
შპს ბიდიო ეიჩარ ენდ ფეიროლ	100,00%	100,00%	ბიზნეს კონსულტაციები და აუთსორსინგი	04.12.2015	-

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ჯგუფი აწარმოებს წიგნებს და საბუღალტრო ჩანაწერებს ქართულ ლარში საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების საფუძველზე, რომელიც შესწორებულია და ხელახლა კლასიფიცირდება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად მისი საიმედო წარდგენისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

ხელმძღვანელობა ფიქრობს ჯგუფის ბიზნესის შემდგომ განვითარებაზე და თვლის, რომ მომგებიანობის ვარაუდი ჯგუფისთვის შესაფერისია.

ჯგუფისთვის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ჯგუფი ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს კომპანიისა და მის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველა შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შედის შპს ბიდიოს, როგორც დედა კომპანიის და მისი ოთხი შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ეს კომპანიებია: შპს ბიდიო ლეგალ, შპს ბიდიო სოლუშენს, შპს ბიდიო აკადემია, შპს ბიდიო ეიჩარ ენდ ფეიროლ. ოთხივე შვილობილი კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შპს ბიდიო.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღრიცხულია თვითღირებულებით. შვილობილ საწარმოებში ინვესტიციის თანხები ელიმინირებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა კომპანიის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში. შვილობილი საწარმოებიდან მისაღები დივიდენდები ელიმინირებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება და შეფასება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის და მიღებული ან მისაღები სარგებლის საიმედოდ შეფასება.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია

ამონაგების თანხის და მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი გადასახადების გამოკლებით.

თუ მომსახურება გაწეულია განსხვავებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, კომპანია აღიარებს ამონაგებს, რომელიც ფასდება მის მიერ მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება გადაცემული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების თანხით.

თუ შეუძლებელია მიღებული საქონლის ან მომსახურების ღირებულების საიმედოდ შეფასება, მაშინ კომპანია ამონაგებს აღიარებს გაცემული მომსახურების ან საქონლის რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება გადაცემული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების თანხით.

თუ შეუძლებელია როგორც მიღებული, ისე გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მაშინ კომპანია ამონაგებად აღიარებს გაცემული საქონლის ან მომსახურების საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაკორექტირდება გადაცემული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების თანხით.

როდესაც წარმოიქმნება განუსაზღვრელობა თუ რამდენად ამოღებადია უკვე ამონაგებად აღიარებული თანხა, მაშინ ის თანხა, რომლის ამოღებაც შეუძლებელია ან რომლისთვისაც ანაზღაურების მიღება მოსალოდნელი აღარ არის, თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირების ნაცვლად აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება ეს განუსაზღვრელობა.

ხარჯების აღიარება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია ჯგუფის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირების საშიშროება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების გაზრდასთან და რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1

იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგიურულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებად კომპანია აღიარებს ისეთ მატერიალურ აქტივს, რომელიც იმყოფება კომპანიის საკუთრებაში, უშუალოდ გამოიყენება საქონლის წარმოებაში ან/და საქონლის/მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო წელზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა. თვითღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და ყველა დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე ყველა დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალების შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღირიცხება როგორც ცალკეული აქტივი სათანადო წესით, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამ აქტივის სათანადოდ შეფასება და სავარაუდოა რომ მისგან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა ყველა დანახარჯი განიხილება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯები და აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში შეყვანის თარიღიდან და გრძელდება მთელი მისი სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, ასევე სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. შედეგები აისახება სრული შემოსავლისა და ხარჯის ანგარიშგებაში.

კომპანიაში დადგენილია ძირითადი საშუალებების ჯგუფები, რომლისთვისაც განსაზღვრულია ცხრილში მითითებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	4
ავტო და მოწყობილობები	4
მანქანები	5

არამატერიალური აქტივები

კომპანია არამატერიალურ აქტივად ასახავს შეძენილ პროგრამულ უზუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. ყოველი შემდგომი დანახარჯი არამატერიალურ აქტივზე, რომელიც აღმოჩენებს ამ აქტივის მწარმოებლურობას, ემატება არამატერიალური აქტივის ღირებულებას და გაიცვითება ამ აქტივის სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით და სასარგებლო მომსახურების ვადა 3 წელია. ყოველი წლის ბოლოს ხდება არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. შედეგები აისახება სრული შემოსავლისა და ხარჯის ანგარიშგებაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს თავისი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოკლებულია მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოაკლდება პროდუქციის დასრულებისათვის და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯს.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო მოთხოვნები ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. სავალუტო შემოსავალი ან ზარალი აისახება პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში საკურსო სხვაობით გამოწვეულ მოგებაში ან ზარალში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გადახედვა, რათა მოხდეს განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისათვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

თარიღი	ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
31.12.2016 წ.	2,6468	2,7940	3,2579
31.12.2017 წ.	2,5922	3,1044	3,5005
31.12.2018 წ.	2,6766	3,0701	3,3955

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების მუხლში შედის ფულადი სახსრები კომპანიის სალაროში, ფულადი სახსრები განთავსებული ორგანიზაციის მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.

საპენსიო ვალდებულებები

ჯგუფს არ აქვს დაქირავებულ თანამშრომელთა დამატებითი საპენსიო პროგრამები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპენსიო ვალდებულებებისა, დამატებითი საპენსიო ანაზღაურება და/ან სხვა მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც მოითხოვს დამატებით დარიცხვას.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მოგების განსაზღვრისას. დივიდენდები მტკიცდება პარტნიორთა კრებაზე, რომელზეც დგება პარტნიორთა კრების ოქმი.

კაპიტალი

პარტნიორთა კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დაგროვილი მოგებისგან და რეზერვებისგან.

პირდაპირი დანახარჯები

ჯგუფის პირდაპირი დანახარჯები წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჯგუფის შემოსავლის მიღებასთან, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ გაყიდული საქონლის თვითღირებულებით და პროფესიული თანამშრომლების ხელფასებით.

თანამშრომელთა დანახარჯები და სხვა დაკავშირებული ხარჯები

თანამშრომლებზე ხელფასების, ბონუსების, დაზღვევის და სხვა ხარჯების დარიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით და მოხვედრილია იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც თანამშრომლები ახორციელებენ მომსახურებას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა.

პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები) აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია წარმოადგენს ამ ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარეს.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით გარიგების დანახარჯების ჩათვლით, თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას. თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება მომავალი მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი ინსტრუმენტისთვის დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით აღიარების თარიღისთვის.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი სახსრები მთლიანად მიღებულია ან ვადა გასდის ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს;

(ბ) ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებლის მიღების უფლებას კომპანია სხვა მხარეს გადასცემს;

(გ) ფინანსური აქტივის კონტროლის უფლებას გადასცემს მესამე მხარეს, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის შესაძლებლობა ნებისმიერ მესამე არადაკავშირებულ მხარეზე. ამ შემთხვევაში კომპანია:

(i) წყვეტს აქტივის აღიარებას

(ii) ცალკე აღიარებს ყველა უფლებას და ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა ამ აქტივის გადაცემისას.

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე შეჯამება

ზემოთ მოყვანილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი რეგულაციები, რომელიც გამოიყენება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	2018	2017
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	3,846,611	3,270,959
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	408,837	210,730
	4,255,448	3,481,689

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	3,464,596	2,700,659
საექვო ვალები	(111,805)	(184,471)
მოთხოვნები პერსონალისა და პარტნიორების მიმართ	26,796	28,127
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	160,622	71,697
საგადასახადო აქტივები	108,691	107,880
სხვა მოთხოვნები	205,661	-
	3,854,561	2,723,892

5. მარაგები

	2018	2017
პროგრამული პროდუქტები	671,642	637,281
სხვა	12,348	6,083
	683,990	643,364

6. ინვესტიციები

2016 წელს კომპანიამ შეიძინა ჰოლდინგური კომპანია BDO Eurasia B.V.-ში 5%-ის ოდენობის წილი.

ინვესტიცია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად აღირიცხება თვითღირებულებით.

	წილი	2018	წილი	2017
BDO Eurasia B.V.	5%	45,250	5%	45,250
		45,250		45,250

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავტო და მოწყობილობები	მანქანები	სულ
თვითღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	518,224	343,752	56,660	918,636
შეძენა	204,446	37,137	-	241,584
გასვლა	(12,657)	-	-	(12,657)
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	710,013	380,889	56,660	1,147,562
შეძენა	279,586	73,511	-	353,096
გასვლა	(98,513)	(799)	-	(99,312)
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	891,086	453,600	56,660	1,401,347
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 31 დეკემბერს	(325,580)	(188,808)	(26,321)	(540,709)
2017 წლის ცვეთა	(114,370)	(66,255)	(6,742)	(187,367)
2017 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	12,628	-	-	12,628
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბერს	(427,323)	(255,063)	(33,063)	(715,449)
2018 წლის ცვეთა	(173,961)	(77,411)	(6,742)	(258,114)
2018 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	96,713	799	-	97,512
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბერს	(504,571)	(331,674)	(39,806)	(876,051)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბერს	192,644	154,944	30,339	377,927
2017 წლის 31 დეკემბერს	282,690	125,827	23,597	432,114
2018 წლის 31 დეკემბერს	386,516	121,926	16,854	525,296

8. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	110,236	110,236
შემენა	51,692	51,692
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	161,928	161,928
შემენა	59,457	59,457
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	221,385	221,385
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 31 დეკემბერს	(87,164)	(87,164)
2017 წლის ცვეთა	(13,500)	(13,500)
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბერს	(100,664)	(100,664)
2018 წლის ცვეთა	(49,453)	(49,453)
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბერს	(150,117)	(150,117)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2016 წლის 31 დეკემბერს	23,072	23,072
2017 წლის 31 დეკემბერს	61,264	61,264
2018 წლის 31 დეკემბერს	71,268	71,268

9. მოგების გადასახადის ხარჯი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%. ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არარეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელმწიფო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას

წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2018	2017
გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	48,400	75,000
	48,400	75,000

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	356,470	387,885
მიღებული ავანსები	1,004,486	639,474
დავალიანება თანამშრომლების მიმართ	1,297,880	836,424
სხვა ვალდებულებები	379,000	515,792
	3,037,837	2,379,575

12. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	2018	2017
გადასახდელი დივიდენდები	2,318,168	1,926,302
გადასახდელი გადასახადები	200,286	69,365
	2,518,455	1,995,667

13. შემოსავალი

	2018	2017
აუდიტი და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება	4,682,622	2,735,828
საგადასახადო მომსახურება	1,902,056	1,558,865
კორპორაციული ფინანსები	893,843	1,092,134
სასამართლო ექსპერტიზა და რისკების მენეჯმენტი	476,557	-
ბიზნეს სერვისები და აუთსორსინგი	2,760,618	2,669,441
საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებთან	3,900,719	3,088,953
დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება	1,011,387	968,551
იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება	285,066	224,214
ბიზნეს ტრენინგები	15,912,868	12,337,986

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. გაყიდვების თვითღირებულება

	2018	2017
დანახარჯები პერსონალზე	(7,226,859)	(5,216,469)
ცვეთა და ამორტიზაცია	(135,034)	(110,070)
სხვა პირდაპირი ხარჯები	(1,294,281)	(1,282,641)
	(8,656,175)	(6,609,180)

15. კომერციული და მარკეტინგის ხარჯები

	2018	2017
დანახარჯები პერსონალზე	(285,411)	(226,100)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,171)	(4,015)
სხვა მარკეტინგის ხარჯები	(440,906)	(318,792)
	(731,488)	(548,907)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
დანახარჯები პერსონალზე	(1,166,587)	(886,329)
იჯარა და ოფისის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები	(953,321)	(825,864)
ცვეთა და ამორტიზაცია	(167,171)	(86,172)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(694,996)	(501,035)
	(2,982,075)	(2,299,400)

17. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯები)	129,415	96,775
წმინდა შემოსავალი / (ხარჯი) სავალუტო ოპერაციებიდან	100,002	(7,947)
	229,418	88,828

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი ოპერაციები და ნაშთები ჰქონდა:

	დაკავშირებული მხარე	დაკავშირებულ მხარეთა ნაშთი	ფინანსური ანგარიშგების მუხლის მთლიანი ნაშთი
		25,800	3,854,561
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
მოთხოვნები პერსონალისა და პარტნიორების მიმართ	პარტნიორი / მმართველი გუნდის წევრი	25,800	
სხვა გრძელვადიანი აქტივები		48,400	48,400
გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	პარტნიორი / მმართველი გუნდის წევრი	48,400	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		150,738	3,085,789
ვალდებულებები პარტნიორების მიმართ	პარტნიორი / მმართველი გუნდის წევრი	738	
თბილისის საინვესტიციო კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარე	150,000	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		2,318,168	2,553,659
გადასახდელი დივიდენდები	პარტნიორი / მმართველი გუნდის წევრი	2,318,168	

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	4,255,448	3,481,689
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	3,854,561	2,723,892
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	683,990	643,364
სულ მიმდინარე აქტივები		8,793,999	6,848,945
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	6	45,250	45,250
ძირითადი საშუალებები	7	525,287	432,114
არამატერიალური აქტივები	8	71,268	61,264
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	48,400	75,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		690,205	613,628
სულ აქტივები		9,484,204	7,462,573
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	3,037,837	2,379,575
ბანკის სესხები		83,156	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	2,518,455	1,995,667
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,639,449	4,375,242
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	529,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	529,000
სულ ვალდებულებები		5,639,449	4,904,242
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		32,000	32,000
რეზერვები		535,362	535,362
გაუნაწილებელი მოგება		3,277,393	1,990,969
სულ საკუთარი კაპიტალი		3,844,755	2,558,331
არამაკონტროლებელი წილი		-	-
სულ კაპიტალი		3,844,755	2,558,331
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,484,204	7,462,573

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით

მმართველი პარტნიორი

ფინანსური მენეჯერი

2019 წლის 1 მაისი



ზურაბ ლალაზაშვილი

შორენა ბუაძე

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	Note	2018	2017
შემოსავალი		15,912,868	12,337,986
გაყიდვების თვითღირებულება	14	(8,656,175)	(6,609,180)
საერთო მოგება		7,256,693	5,728,806
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		6,844	(7,878)
კომერციული და მარკეტინგის ხარჯები	15	(731,488)	(548,907)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,982,075)	(2,299,400)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი		68,301	(55,653)
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	17	229,418	88,828
მოგება დაბეგრამდე		3,847,693	2,905,796
მოგების გადასახადის ხარჯი		(241,273)	(43,805)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		3,606,420	2,861,991

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით

მმართველი პარტნიორი

ფინანსური მენეჯერი

2019 წლის 1 მაისი



ზურაბ ლალაზაშვილი


შორენა ბუაძე

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ლარიში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	არამაკონტროლებ- დი წილი	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	35,000	2,042,078	482,529	98,436	2,658,043
პერიოდის სრული მოგება / (ზარალი)	-	2,861,991	-	-	2,861,991
კაპიტალიდან წილის გატანა	(7,000)	(986,800)	(143,200)	(800)	(1,137,800)
პარტნიორობა შენატანი	4,000	-	98,400	-	98,400
კაპიტალის ზრდა	-	-	97,636	(97,636)	4,000
დივიდენდი	-	(1,926,302)	-	-	(1,926,302)
2017 წლის 31 დეკემბერი	32,000	1,990,967	535,365	-	2,558,332
პერიოდის სრული მოგება / (ზარალი)	-	3,606,419	-	-	3,606,419
დივიდენდი	-	(2,320,000)	-	-	(2,320,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	32,000	3,277,386	535,365	-	3,844,751

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.
ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით



მმართველი პარტნიორი
ფინანსური მენეჯერი
2019 წლის 1 მაისი

ზურაბ ლალაშაშვილი
შორენა ბუაძე

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	3,847,693	2,881,060
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(129,415)	(96,775)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (შემოსავალი) / ხარჯი	1,164	-
საექვო ვალუბის ხარჯი / (შემოსავალი)	(70,304)	78,696
ცვეთა და ამორტიზაცია	307,568	293,293
წმინდა (შემოსავალი) / ზარალი საკურსო სხვაობიდან	(100,002)	7,947
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,856,704	3,164,221
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების შემცირება / (ზრდა)	(6,265)	6,040
პროგრამული პროდუქტების შემცირება / (ზრდა)	(34,361)	(255,674)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)	(724,873)	(664,212)
საგადასახადო აქტივების შემცირება / (ზრდა)	(811)	(45,108)
სხვა მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)	(293,255)	(79,354)
გრძელვადიანი ვალდებულებების (შემცირება) / ზრდა	(529,000)	229,000
კრედიტორული დავალიანების (შემცირება) / ზრდა	373,702	995,623
მიღებული ავანსების (შემცირება) / ზრდა	365,018	159,915
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება) / ზრდა	136,536	(38,376)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,143,395	3,472,075
გადახდილი მოგების გადასახადი	(246,888)	(89,294)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,896,507	3,382,781
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
პარტნიორის შენატანი	26,600	49,833
მიღებული პროცენტები	129,415	96,775
ძირითადი საშუალებების შეძენა	(353,087)	(295,788)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	636	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(59,457)	(89,884)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(255,893)	(239,064)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(1,928,134)	(1,724,572)
გადახდილი სესხები	(83,156)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,844,978)	(1,724,752)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	795,636	1,418,965
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,481,689	2,070,672
საკურსო სხვაობის ეფექტი	(21,877)	(7,948)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,255,448	3,481,689

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით

მმართველი პარტნიორი

ფინანსური მენეჯერი

2019 წლის 1 მაისი



ზურაბ ლალაზაშვილი

შორენა ბუაძე